ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თსსა აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თსსა წესდების შესაბამისად.
2. კონკურსი წარიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, ერთიანი საკონკურსო კომისიის მიერ აირჩევიან აკადემიის პროფესორები, მეორე ეტაპზე დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისიის მიერ აირჩევიან ფაკულტეტების ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები.
3. საკონკურსო კომისიის ფორმირების წესი დამუშაობის ძირითადი სტრუქტურა ასახულია თსსა წესდებაში. დებულება განსაზღვრავს დამატებით პირობებსა და კომისიის მუშაობის ცალკეულ პროცედურულ საკითხებს.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის მუშაობის ძირითადი პრინციპები და საკონკურსო განაცხადის შეტანის საკითხები

1. ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მიზანია შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე რეგისტრირებულ პრეტენდენთაგან საუკეთესოს გამოვლენა და მისი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა. საუკეთესოს გამოვლენა გულისხმობს თითოეული კანდიდატის, მისი პროფესიული უნარების, გამოცდილების, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი პოტენციალისა და ა.შ. შეფასებას თსსა მისიისა და შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილ მოთხოვნების ჭრილში. კონკურსის მიზანია პრეტენდენტთაგან გამოავლინოს ის კანდიდატი, რომელიც მაქსიმალურად შეეფერება შესაბამის ვაკანტურ თანამდებობას. კომისიის გადაწყვეტილება არ შეიძლება შეფასებული იქნას როგორც პრეტენდენტთაგან საუკეთესო ხელოვანის, მეცნიერის ან პედაგოგის გამოვლენა, რამეთუ მხოლოდ ამ ტიპის შეფასება არ წარმოადგენს კომისიის ძირითად მიზანს.
2. კონკურსის დროს, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით. დისკრიმინაციად არ მიიჩნევა პირის განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან ან სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება.
3. საკონკურსო კომისია ავლენს კონკურსში გამარჯვებულს, რაც წარმოადგენს ცალკეულ კანდიდატთა შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობას. მხოლოდ კომისიის მიერ გამოვლენილი გამარჯვებულის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ კანდიდატმა გაიარა კონკურსი და არჩეულ იქნა აკადემიურ თანამდებობაზე.

4. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეული წევრი უნდა ხელმძღვანელობდეს გამოქვეყნებული საკონკურსო განცხადებით, თითოეული აკადემიური თანამდებობის მიმართ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და კრიტერიუმებით რომლებიც მითითებულია საკონკურსო პირობებში.
5. შრომითი ხელშეკრულების კატეგორია აკადემიური თანამდებობის პირთან (A, B ან C) დამოკიდებულია სამუშაო დატვირთვაზე, ჯგუფების ოდენობასა და სხვა ფაქტორებზე. აკადემიური თანამდებობის პირს სამუშაო დატვირთვის ცვლილება განაპირობებს შრომითი ხელშეკრულების კატეგორიის ცვლილებასაც, რაც შესაძლოა განხორციელდეს ყოველი სასწავლო სემესტრისათვის, აკადემიური თანამდებობის არჩევითი ვადის განმავლობაში.
6. საგანმანათლებლო პროგრამის შეჩერების შემთხვევაში, ან/და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, თუკი პროფესორს არ ექნება სამუშაო დატვირთვა, პროფესორთან შრომითი ხელშეკრულება ჩაითვლება შეჩერებულად საგანმანათლებლო პროცესის განახლებამდე.
7. საკონკუროს მოთხოვნა შეიძლება შეიცავდეს მითითებას აფილირების თაობაზე, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს თითოეული ფაკულტეტის საბჭო, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების დროს. ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში, აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კონკურსში გამარჯვებული პირი, ვალდებულია თსსა-სთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება, რომლითაც პირი აცხადებს თანხმობას და იძლევა გარანტიას, რომ მიჩნეული იქნება მხოლოდ აკადემიის აფილირებულ პირად.
8. კონკურსში მონაწილეობით პრეტენდენტი აცნობიერებს და აცხდებს თანხმობას, რომ თსსა-მ განახორციელოს კანდიდატის პერსონალური (მათ შორის მისი შეფასების თაობაზე ან/და აუდიოვიზუალური მონაცემების (ვიდეო ჩანაწერა/ დამუშავება) ასეთის საჭიროებისას) მონაცემების დამუშავება, ვაკანსიაზე კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მიზნით, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ ასევე შესაძლოა დამუშავდეს სამომავლო სხვა ვაკანსიაზე კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მიზნით.
9. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლბით იმპერატიულად რეგლამენტიურებულია, რომ აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტი ვალდებულია საკონკურსო განაცხადებას თან დაურთოს მის მიერ ხელმოწერილი თანხმობის ხელწერილი მისი პერსონლაური (მათ შორის მისი შეფასების თაობაზე ან/და აუდიო-ვიზუალური მონაცემების (ვიდეო ჩანაწერა/ დამუშავება) დამუშავების, მათ შორის გასაჯაროების (კონკურსის შედეგების გამოქვეყნება, ასევე შედეგების გასაჩივრების ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის შედეგებისა და მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვის/გასაჩივრების შემთხვევებში, ასევე შესაბამისი მაკონტროლებელი ან/და უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების/ორგანოების/ სამსახურებისთვის მიწოდებისას) შესახებ. აღნიშნული თანხმობის ხელწერილის წარმოუდგენლობის (ან დამუშვების თაობაზე თანხმობის შესახებ უარის განცხადების) შემთხვევაში პრეტენდენტის განცხადება არ განიხილება კონკურსზე.

მუხლი 3. საკონკურსო კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი ვალდებულია, ღია კონკურსის ეტაპების დაწყებამდე წინასწარ განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებასა და კანდიდატის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, კომისიის წევრი ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას იმავე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მუხლი 4. საკონკურსო კომისიის აპარატი

1. საკონკურსო კომისიის აპარატი წარმოადგენს თსსა თანამშრომლებისაგან დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის მუშაობის იურიდიულ, პროცედურულ და ტექნიკურ გამართულობას. საკონკურსო კომისიის აპარატი ადგენს საკონკურსო კომისიის სხდომების ოქმებს.
2. საკონკურსო კომისიის აპარატი მტკიცდება კომისიასთან ერთად, თსსა-ს რექტორის ბრძანებით, კონკურსის გამოცხადების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს საკონკურსო განცხადებების მიღებამდე ერთი კვირით ადრე.
3. საკონკურსო კომისიის აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს წარმომადგენელი თსსა-ს ადმინისტრაციიდან, რომელიც პასუხისმგებელია საკონკურსო კომისიის მუშაობის იურიდიულ და პროცედურულ გამართულობაზე.
4. კომისიის აპარატის მუშაობაში მონაწილეობს წარმომადგენელი თსსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან. თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი კანდიდატის სტატუსით მონაწილეობს კონკურსში, იგი არ შეიძლება მონაწილეობდეს შესაბამისი ფაკულტეტის განაცხადების განხილვის პროცედურებში.
5. საკონკურსო სხდომას აუცილებლად ესწრებიან საკონკურსო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი და საოქმო უზრუნველყოფის სპეციალისტები. საკონკურსო კომისიის აპარატის სხვა წევრები შესაძლოა გამოძახებული იყვნენ სხდომაზე საკონკურსო კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.
6. აპარატის წევრებს ევალებათ მისცენ მოთხოვნის შესაბამისი განმარტებები კომისიას, მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მათი კომპეტენციისა და ცოდნის ფარგლებში შეისწავლონ დოკუმენტაცია, სათანადო პროფესიული დასკვნა კი წარუდგინონ კომისიის შემდგომი მსჯელობისათვის.
7. საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები არ შეიძლება საკუთარი ინიციატივით ჩაერთონ საკონკურსო კომისიის საქმიანობაში, საკუთარი ინიციატივით გააცნონ კომისიის წევრებს მათი მოსაზრებები ან ნებისმიერი სხვა ფორმით შეეცადონ გავლენა მოახდინონ კომისიის წევრთა აზრთა ფორმირებაზე.

მუხლი 5. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. ყველა საკონკუნკურსო პოზიციაზე, დგინდება მინიმალური და ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები; საკვალიფიკაციო მოთხოვნები მზადდება ფაკულტეტების მიერ და კონკურსის გამოცხადებამდე მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.
2. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახავს იმ მონაცემებს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი კონკურსში მონაწილეობისათვის. მინიმალურ საკვალიფიკაციო მონაცემებთან შესაბამისობას ადგენს საკონკურსო კომისიის აპარატი და დასკვნას წარუდგენს კომისიას. კომისია ამის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას პრეტედენტის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის (ან შეუსაბამობის) შესახებ, რაც წარმოადგენს კანდიდატის კონკურსში მონაწილეობის, ან კონკურსიდან მოხსნის საფუძველს. კანდიდატი, რომლის განაცხადი ვერ აღასტურებს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთნ შესაბამისობას, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით მოხსნილი იქნება კონკურსიდან და მისი განაცხადი შემდგომ კონკურსში აღარ მონაწილეობს.

3. ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახავს იმ ფაქტორების და გარემოებების ერთობლიობას, რომლის შესაბამისადაც მოხდება კანდიდატების შეფასება. თითოეული ძირითადი საკვალიფიკაცო მოთხოვნის შეფასება ხდება 10 ქულიანი შკალით. კანდიდატების შეფასება ხდება თითოეულ ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნის ჭრილში, საერთო შეფასება კი წარმოადგენს თითოეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნაში მიღებული შეფასებების ჯამს. ძირითადი საკვალიფიკაციო მონაცემი უნდა შეეხებოდეს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც მაქსიმალურად წარმოაჩენს კანდიდატთა პროფესიულ და საგანმანათლებლო უნარებსა და გამოცდილებას.
4. კონკრუსში თითოეული კანდიდატის განხილვა მიმდინარეობს მის მიერ წარმოდგენილი განაცხადის და მასში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, ყველა სხვა ინფორმაცია და ცოდნა, რაც არ არის ასახული განაცხადში არ განიხილება; შესაბამისად კონკურსში მონაწილეობით კონკურსანტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის სწორი, სრული და პასუხისმგებელია მათზე, მათ შორის აცნობიერებს არაასწორი ან არასრული ინფორმაციის წარმოდგენით გამოუწვეულ შედეგებს, რის თაობაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე.
5. საკონკურსო განცხადებას დანართის სახით უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი და მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს დადგენილ საკონკურსო პირობებთან კანდიდატის შესაბამისობას. დანართი უნდა დაინომროს უწყვეტად და გვერდების საერთო რაოდენობა მიეთითოს განცხადებაში.
6. ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნის ქულების განაწილება კომისიის წევრების მიერ უნდა მოხდეს მასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის გაანალიზების და შეფასების შედეგად. მაგალითად, კანდიდატის პედაგოგიური გამოცდილების შეფასებისას მხედველობაში მიიღება პედაგოგიური გამოცდილების ხანგრძლივობა, პედაგოგიურ პროცესში მონაწილეობის ხარისხი, როლი, მიღწეული შედეგები და ა.შ. თითოეული კანდიდატის შეფასება ხდება კომპლექსურად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
7. პროფესიული უნარებისა და შემოქმედების შეფასებისათვის შესაძლოა მოთხოვნილი იყოს პროტფოლიო. პორტფოლიო — მხატვრულ ნამუშევართა ალბომი ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს;
8. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებს შესაძლოა დაევალოთ, რომ წარმოადგინონ მიმართულების, დარგის/სპეციალობის განვითარების კონცეფცია ან/და საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლესბლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა სტანდარტისა და მოთხოვნების გათვალისწინებით; მოთხოვნილი დოკუმენტის ფორმა განისაზღვრება კონკურსის პერიოდში პროგრამული აკრედიტაციისა და სხვადასხვა ფაქტორებზე, შესაბამისად ეს გადაწყვეტილება უნდა აისახოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებში თითოეული აკადემიური თანამდებობისათვის.
9. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებს შესაძლოა დაევალოთ, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა; ასევე საბაკალავრო პროგრამი ან/და სამაგისტრო პროგრამის ან/და სასწავლო კურსის პროგრამის წარმოდგენა (სილაბუსი/სილაბუსები) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა სტანდარტისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. მოთხოვნილი დოკუმენტის განისაზღვრება საკვაიფიკაციო მოთხოვნებში, პროფესორის თანამდებობის ანალოგიურად.
10. ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინონ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი/სილაბუსები) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა სტანდარტისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 6. კონკურსის გამოცხადების წესი

1. ინფორმაცია ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის გამოცხადების თაობაზე ქვეყნდება თსსა-ს ოფიციალურ ვებგვერდიზე (www.art.edu.ge).
2. აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და განცხადების ფორმა და ხელმისაწვდომი იქნება გადმოსაწერად თსსა-ს ვებ გვერდიდან.

მუხლი 7. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა

1. განცხადება შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.
2. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტები.
3. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დანართი 1, სადაც მოცემული იქნება ყველა ცნობა, დოკუმენტი, ნაშრომი, სტატია ან სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება საკონკურსო პირობებთან კანდიდატის შესაბამისობა. დანართი უნდა დაინომროს უწყვეტად და გვერდების რაოდენობა მიეთითოს განცხადებაში.
4. თუ მტკიცებულებად წარმოდგენილია ალბომი, წიგნი, აფიშა ან სხვა სახის მოცულობითი დოკუმენტი, რომელიც ვერ გახდება განაცხადის დანართი 1-ის შემადგენელი ნაწილი, ის უნდა განისაზღვროს როგორც დანართი 2.
5. ნებისმიერი ინფორმაცია, წარმოდგენილი ელექტრონული სახით უნდა იქნას წარმოდგენილი რაიმე ელექტრონული ინფორმაციის მატარებლით, და თუ ის შეიცავს დანართში მითითებული სხვადასხვა ფაქტის თუ გარემოების მტკიცებულებას, ინფორმაცია უნდა განთავსდეს ციფრულ საქაღალდეებში და დაინომროს როგორც ციფრული დანართი.

მუხლი 8. კონკურსის ეტაპები, ჩატარების ფორმები და პირობები

1. კონკურსის ეტაპებია:
   ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა
   ბ) კანდიდატის შეფასება
   გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება

მუხლი 9. საკონკურსო აპარატის სხდომა

1. კონკურსის პირველი ეტაპი წარმოადგენს კანდიდატის განაცხადის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.
2. საკონკურსო განცხადების მიღების დასრულების შემდგომ, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია გადაეცემა კომისიის აპარატს ფორმალური შესაბამისობის დასადგენად. კომისიის აპარატი ადგენს განაცხადის მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობას.
3. საკონკურსო კომისიის სხდომის დაწყების შემდგომ კომისიის აპარატი წარუდგენს კომისიას დასკვნას ფორმალური მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შედეგებს.

საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის (ან შეუსაბამობის) თაობაზე.

4. კანდიდატი, რომლის განაცხადი ვერ ადასტურებს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთნ შესაბამისობას, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით მოხსნილი იქნება კონკურსიდან და მისი კანდიდატურა აღარ განიხილება კონკურსის მეორე ეტაპზე.
5. მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 10. საკონკურსო კომისია

1. ერთიანი საკონკურსო კომისია შედგება ათი წევრისაგან. თითოეული ფაკულტეტის საბჭო შეარჩევს სათანადო ცოდნის, დამსახურებისა და გამოცდილების მქონე 4 კანდიდატურას შესაბამისი დარგიდან/სფეროდან და წარუდგენს რექტორს. რექტორი თითოეული ფაკულტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატურებიდან შეარჩევს 2 წარმომადგენელს, რომლებიც შეადგენენ ერთიან საკონკურსო კომისიას.
2. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე, კონკურსში მონაწილე კანდიდატი.
3. აკადემიის პროფესორების არჩევის შემდგომ, ერთიანი საკონკურსო კომისია იყოფა დარგობრივ (საფაკულტეტო) კომისიებად, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან 2 ერთიანი საკონკურსო კომისის წევრი (რომელიც რექტორის მიერ აირჩა ფაკულტეტის წარდგენილი კანდიდატურებიდან) და ამავე ფაკულტეტის არჩეული პროფესორები.
4. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
5. საკონკურსო კომისია (მათ შორის დარგობრივი) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავჯდომარეს. საკონკურსო კომისიის მუშაობას წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის თავჯდომარე. ხმების თანაბრად გაყოფისას უპირატესობა ენიჭება კომისიის თავჯდომარის ხმას.
6. ერთიანი კონკურსის ჩატარების შედეგად არჩეული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადის შუალედ პერიოდში, აკადემიის რომელიმე ფაკულტეტ(ებ)ზე ცალკეული ვაკანტური თანამდებობის (გარდა პროფესორის აკადემიური თანამდებობისა) არსებობისა და მის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის ანალოგიურად შერჩეული ორი წევრისა და ამავე ფაკულტეტის პროფესორების შემადგენლობით და ეს დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისია საქმიანობას ახორციელებს ამ წესით საკონკურსო კომისიისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად“.

მუხლი 11. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიალურად, წევრთა საერთო შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუკი კომისიის წევრთა ხმები გაიყო და შეთანხმება ვერ ხერხდება, იმართება კენჭისყრა. კენჭისყრის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომისიის თავმჯდომარის ხმას.
2. კომისიის წევრებს არ აქვთ გადაწყვეტილების მიღებისგან თავის შეკავების ან კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება.
3. თითოეული კომისიის წევრი ადგენს კანდიდატთა შეფასების უწყისს, რომელშიც ასახულია ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასახელება, აკადემიურ თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატის სახელი და გვარი, შესაბამისი ძირითადი

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თითოეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნაში კანდიდატის შეფასების ქულა.

4. კომისიის წევრი თითოეულ პარამეტრში აძლევს შეფასებას ყველა კანდიდატს. შეფასებაა ხდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც ეფუძნება წარმოდგენილ საკონკურსო განაცხადში ასახულ ინფორმაცას.
5. კომისიის თითოეულ წევრს აქვს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, თუ რატომ შეაფასა თითოეული კანდიდატი და რა ფაქტორებზე გაამახვილა ყურადღება.
6. საკონკურსო კომისიას აქვს უფლება კანდიდატთა შეფასების ეტაპზე შეწყვიტოს საკონკურსო სხდომა და კანდიდატთა შეფასების მიზნით გამოიყენოს გასაუბრება (ინტერვიუ) კანდიდატთან.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ ვაკანტურ პოზიციასთნ დაკავშირებით, და ეს მექანიზმი გავრცელდება მხოლოდ ამ კონკრეტული თანამდებობის პრეტენდენტებზე. ესეთ შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო სხდომის დასრულებისთანავე გამოსცეს ერთი აქტი, რომლითაც დაამტკიცებს დასრულებული აკადემიური თანამდებობის კონკურსის შედეგებს, ხოლო იმ აკადემიური თანამდებობის შედეგი, რომლის კონკურსიც გადაიდო ერთ-ერთი მექანიზმის ამოქმედებით, დაამტკიცოს მეორე ოქმით კანდიდატის შეფასების დასრულების შემდეგ. კონკურსის შედეგების დამტკიცების ერთიან აქტს, ამ შემთხვევაში, ახალი აქტით დაემატება გადავადებული არჩევნების შედეგები მისი დასრულების და შესაბამისი ოქმის დამტკიცების შემდგომ.
8. გასაუბრება (ინტერვიუ) გულისხმობს საკონკურსო კომისიის სხდომაზე კანდიდატის მოწვევას, რომელიც ვალდებულია დაესწროს სხდომას, უპასუხოს კომისიის წევრთა შეკითხვებს და მისცეს განმარტებები. საკონკურსო კომისიის სხდომაში მონაწილეობა შესაძლოა როგორც ფიზიკურად, ასევე დისტანციური საშუალებების გამოყენებით; ინტერვიუს ჩაწერა ხდება აუდიო-ვიდეო საშუალებების გამოყენებით.
9. გადაწყვეტილება გასაუბრების (ინტერვიუს) მექანიზმის სარგებლობაზე შეიძლება მიღებული იქნას მხოლოდ საკონკურსო დოკუმეტაციის სრული შესწავლის, და კანდიდატთა შეფასების შემდგომ, თუკი მხოლოდ საკონკურსო დოკუმენტაციამ არ მისცა შესაძლებლობა კომისიას გამოერჩია გამარჯვებული, და მის გამოსავლენად აუცილებელი გახდა რომელიმე სპეციალური მექანიზმის გამოყენება. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გავრცელდეს როგორც ვაკანტური აკადემიური თანამდებობის ყველა პრეტენდენტზე, ასევე მხოლოდ ორ თუ რამოდენიმე კანდიდატზე, რომელთა შორისაც ვერ შეძლო კომისიამ გამარჯვებულის გამოვლენა. გადაწყვეტილება რომელიმე მექანიზმით სარგებლობაზე უნდა იყოს დასაბუთებული და მიიღება კომისიის წევრთა უმრავლესობით.
10. კონკურსანტის მიერ დაფიქსირებული უარი ინტევიუში მონაწილეობასა (ან ინტერვიუს მიმდინარეობისას რაიმე ცნობის ან განმარტების გაცემაზე უარი) წარმოადგენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველს და ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის აპარატის მოხსენების საფუძველზე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
11. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება პრედენდენტთა დაუსწრებლად.
12. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და საკონკურსო კომისიის აპარატის ის წევრები,რომლებიც მონაწილეობდნენ სხდომასა და ოქმის მომზადებაში.
13. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია (დანართები) წარმოადგენს კონკურსანტის საკუთრებას და კონკურსის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება მას. საკონკურსო განაცხადი, მათ შორის კონკურსატის მიერ წარმოდგენილი ცნობები და თანხმობის ხელწერილები (აუდიო-ვიზულური ჩანაწერები) რჩება აკადემიაში და ინახება საკონკურსო დოკუმენტაციასთან და ოქმებთან ერთად.

მუხლი 12. კანდიდატთა შეფასება და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება

1. კანდიდატთა შეფასების ეტაპზე საკონკურსო კომისიის წევრები ეცნობიან და განიხილავენ საკონკურსო განაცხადებს თითოეული ვაკანტური თანამდებობის მიხედვით. ერთ აკადემიურ თნამდებობაზე შემოტანილი განაცხადები განიხილება ერთობლივად.
2. შეფასება ხდება თითოეული ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად.
3. საკონკურსო კომისია ამოწმებს თითოეული კანდიდატისს მიერ მითითებულ ფაქტს თუ გარემოებას, რომელსაც საკონკურსო განაცხადის დანართში ახლავს სათანადო მტკიცებულება. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულებად წარმოდგენილია არასათანადოდ გამოცემული დოკუმენტი, ან ასლი რომლის ნამდვილობაც არ არის დადასტურებული, საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს უფლება არ გაითვალისწინოს ეს გარემოება შეფასებისას, რის თაობაზეც სათანადო ჩანაწერი უნდა გაკეთდეს შენიშვნის გრაფაში.
4. თითოეული ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნა ფასდება 10 ქულიანი სისტემით, საიდანაც 1 წარმოადგენს ყველაზე დაბალ, ხოლო 10 უმაღლეს შეფასებას. ყველა საკონკურსო კომისიის წევრი აწარმოებს ინდივიდუალურ შეფასებათა უწყისს, რომელშიც ასახული უნდა იყოს ყველა კანდიდატი და საკვალიფიკაციო მოთხოვნა (თანდართული შეფასებათა უწყისის ფორმა). კონკურსში გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც ჯამურად ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, სადაც დაფიქსირებული უნდა იყოს თუ რომელმა კანდიდატმა რამდენი ქულა მიიღო ჯამურად და ვინ არის ცნობილი კონკურსში გამარჯვებულად.
6. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, პრეტენდენტი მიიჩნევა კონკურსში გამარჯვებულად, რაც წარმოადგენს მისი აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნისა და შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს.
7. კომისიის ყველა წევრის მიერ შევსებული შეფასების უწყისი, მასში მოცემული დასაბუთების ჩათვლით წარმოადგენს საკონკურსო დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს და მათ გაცემაზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი.

მუხლი 13. საკონკურსო კომისიის რეკომენდაციები

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, მიზანშეწონილად ჩათვლის, ცალკეულ პრეტენდენტთან დაკავშირებით, რომელიც არ აირჩა აკადემიურ თანამდებობაზე, გამოსცეს რეკომენდაცია ფაკულტეტისადმი, მისი საგანამათლებლო პროცესში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე (მოწვეული პედაგოგის ან მასწავლებლის სტატუსით) ჩართვის თაობაზე.

მუხლი 14. კონკურსის შედეგების ძალაში შესვლა, გამოქვეყნება და გასაჩივრება

1. კონკურსის შედეგები ძალაში შედის საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე.
2. კონკურსის საბოლოო შედეგები ქვეყნდება თსსა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.art.edu.ge).
3. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ პირებთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს თსსა-ს ადმინისტრაცია.
4. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. კონკურსის დასრულების შემდეგ კონკურსში მონაწილე პირს (მოთხოვნის შემთხვევაში) შეიძლება დაუბრუნდეს წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები, გარდა წინამდებარე წესის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებისა.